



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

----- ნოე ქაშიბაძე

07 აპრილი 2017 წელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

აუდიტის ანგარიში N 18/36

2016 წლის 1 იანვარი - 2017 წლის 1 იანვარი

შინაარსი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	3
სხვა განსაკუთრებული გარემოებები	7
ბალანსი და მასთან დაკავშირებული ანგარიშები	13

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს (შემდეგში “სამინისტრო”) ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს: ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით - ბალანსის დანართი ფორმა №2, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №2-1, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №2-2, წმინდა ღირებულების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №3, არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №4, მიზნობრივი დაფინანსებისა და მიზნობრივი გრანტების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა № 4-1, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №5, არასაოპერაციო შემოსავლებისა და არასაოპერაციო ხარჯების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №5-1, ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე - ბალანსის დანართი ფორმა №6, ინფორმაცია ანგარიშებზე რიცხულ დებიტორულ დავალიანებათა შესახებ - ფორმა №7, ინფორმაცია ანგარიშებზე რიცხულ კრედიტორულ დავალიანებათა შესახებ - ფორმა №8, ინფორმაცია დებიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში - ფორმა №9, ინფორმაცია კრედიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში - ფორმა №10.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით, ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა,

აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებული იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისათვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამინისტროს უზუსტოდ და არასრულად ჰქონდა წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ფორმა N1, ფორმა N3, ფორმა N5, ფორმა N7 და ფორმა N8. კერძოდ:

➤ 2016 წლის ფინანსური ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნა ამორტიზებული ძირითადი აქტივები პირვანდელი ღირებულებით - 14,817.76 ლარი, მცირეფასიანი გრძელვადიანი აქტივები ღირებულებით - 5,685.22 ლარი და ძირითადი აქტივები საბალანსო ღირებულებით - 163.81 ლარი. მიღებული ინფორმაციით აღნიშნული აქტივების ფინანსური ანგარიშგებიდან ამოღების საფუძველს წარმოადგენდა ინვენტარიზაციის შედარების აქტი¹, რომლითაც გამოვლინდა ჩამოწერას დაქვემდებარებული, ამორტიზებული და წარმოებისათვის გამოუსადეგარი მატერიალური ფასეულობები (73 ერთეული). თუმცა, ზემოაღნიშნული აქტივების ჩამოწერა-განადგურება მოხდა მინისტრის ბრძანების² საფუძველზე 2017 წლის 6 თებერვალს, ხოლო განადგურებამდე ისინი ფაქტობრივად ინახებოდა სამინისტროს შენობაში, შესაბამისად მათი ფინანსური ანგარიშგებიდან ამოღება მოხდა არამართებულად³.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში საცნობარო მუხლში არსებული ინფორმაცია „ამორტიზებული ძირითადი აქტივების“ (08) შესახებ წარმოდგენილი იყო - 14,817.76 ლარით, ხოლო „ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ (10) შესახებ -

¹ 2016 წლის 20 დეკემბრის ინვენტარიზაციის შედეგების აქტი N1;

² აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2017 წლის 01 თებერვლის N01/06 ბრძანება „აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების ჩამოწერა-განადგურების შესახებ“;

³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-9 მუხლის პირველი და მე-10 პუნქტები, მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი და მე-18 მუხლის მე-9 პუნქტი;

5,685.22 ლარით ნაკლები თანხით, ამასთან ბალანსში ასახული ინფორმაცია მუხლზე „მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“ (2120) ასევე წარმოდგენილი იყო 163.81 ლარით შემცირებული ოდენობით. ამდენად, ფინანსურ ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, არსებითობის გათვალისწინებით ვერ ასახავდა რეალურ მდგომარეობას⁴;

- სამინისტრომ 2016 წლის განმავლობაში მიიღო ჯამში - 26,005.86 ლარის ღირებულების (შემენილი - 3,833.60 ლარი; უსასყიდლოდ მიღებული⁵ - 1,374.32 ლარი; ჩუქების ხელშეკრულების⁶ საფუძველზე მიღება-ჩაბარების აქტით⁷ გადმოცემული - 20,797.94 ლარი) გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები. აღნიშნული აქტივების ასახვა მოხდა ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში საცნობარო მუხლში "ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები" (10), თუმცა ბუღალტრულ რეგისტრებში და ბალანსის დანართ ფორმა N3-ში და N5-ში მათი მიღება-გასვლა არ აღრიცხულა⁸.

ყოველივე აღნიშნულით არსებითობის გათვალისწინებით, ვერ იქნა უზრუნველყოფილი მცირეფასიანი გრძელვადიანი აქტივების მიღება-გასვლის ოპერაციების სწორად აღრიცხვა და ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისად ასახვა⁹;

- სამინისტროს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის ბრძანების¹⁰ საფუძველზე მიღება-ჩაბარების აქტით¹¹ 2016 წლის 14 აპრილს სარგებლობის უფლებით გადმოეცა ქ. თბილისში მ. თამარაშვილის ქ. N15^ა-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული 15.08 კვ/მ ოთახი ღირებულების გარეშე. აღნიშნული ფართის ბალანსზე აღრიცხვა მოხდა 2016 წლის მე-3 კვარტალში თანხით - 12,383.69 ლარი. მიღებული ინფორმაციით, 2015 წლის მე-2 კვარტალში სამინისტროს ბალანსზე ერიცხებოდა ზემოაღნიშნული შენობის პირველ სართულზე არსებული 581.62 კვ/მ ფართი პირვანდელი ღირებულებით - 477,633.80 ლარი. სამინისტროს მიერ 1კვ/მ ფართის პირვანდელი ღირებულება განისაზღვრა - 821.20 ლარით¹², შესაბამისად 15,08 კვ/მ ფართი ბალანსზე აყვანილ იქნა - 12,383.69 ლარი¹³.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ფართის ღირებულების განსაზღვრა არ მომხდარა მოწვეული კვალიფიციური სპეციალისტის დასკვნის საფუძველზე¹⁴,

⁴ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტები;

⁵ ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებები;

⁶ შპს "სამსუნგ ელექტრონიკს ცენტრალური ევრაზიას საქართველოს წარმომადგენლობას" და აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შორის 2016 წლის 22 აპრილს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი;

⁷ შპს "სამსუნგ ელექტრონიკს ცენტრალური ევრაზიას საქართველოს წარმომადგენლობას" და აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შორის 2016 წლის 21 აპრილს გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულება;

⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ 25-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტები, მე-20 მუხლის პირველი, მე-2, მე-7 და მე-8 პუნქტები;

⁹ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტები;

¹⁰ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 01 აპრილის N1635 ბრძანება;

¹¹ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შორის 2016 წლის 14 აპრილს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი;

¹² $477,633.80 / 581.62 = 821.20$;

¹³ $821.20 \times 15,08 = 12,383.69$;

¹⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ“ მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი;

სამინისტროს მიერ გამოყენებული შეფასების მეთოდის გათვალისწინებით, ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია არაფინანსური აქტივების შესახებ ვერ ასახავდა რეალურ მდგომარეობას¹⁵.

- ბალანსის დანართ ფორმა N3-ში და N5-ში „არასაოპერაციო შემოსავლის“ (8100) ნაცვლად¹⁶, მუხლით „სხვა შემოსავლები“ (6400) აღრიცხული იყო დამოუკიდებელი შემფასებლის დასკვნების საფუძველზე, ინვენტარიზაციის¹⁷ შედეგად ზედმეტობად გამოვლენილი უძრავი ქონება ჯამური ღირებულებით 2,307,033.62 ლარი (ძირითადი აქტივები (არასაცხოვრებელი შენობები) - 1,635,183.62 ლარი და არაწარმოებული აქტივები (მიწა) - 671,850.00 ლარი). ამდენად, ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული ინფორმაცია უძრავი ქონების მიღების შესახებ წარმოდგენილი იყო არასწორად¹⁸;
- ფინანსური ანგარიშგების ფორმა N7-ში ინფორმაციულად არ იყო ნაჩვენები ფორმა N1-ში ასახული 1,643,672.92 ლარის ღირებულების დანაკლისები, რაც წარმოადგენს რუსული აგრესიის შედეგად კოდორის ხეობაში (ზემო აფხაზეთში) დარჩენილ ქონებას. ამასთან, ბალანსში ნაჩვენები ვალდებულებები ჯამური თანხით 3,180.00 ლარი (გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი (3242) - 636.00 ლარი და შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები (3251) - 2,544.00 ლარი) ასევე, ინფორმაციულად არ იყო წარმოდგენილი ფორმა N8-ში კრედიტორული დავალიანებად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია კრედიტორული და დებიტორული დავალიანებების შესახებ არ იყო წარმოდგენილი სრულად¹⁹;

პირობითი მოსაზრების საფუძველში წარმოდგენილი საკითხებიდან გამომდინარე, 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივებისა და კრედიტორულ-დებიტორული დავალიანებების აღრიცხვის კუთხით წარმოდგენილი ინფორმაცია უტყუარად (სწორად), სრულად და საიმედოდ ვერ ასახავს რეალურ მდგომარეობას.²⁰

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხების გარდა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2016 წლის ფინანსური ანგარიშგება მთლიანად მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრისათვის.

¹⁵ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტები;

¹⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-2 მუხლის „ზ“ და „უ“ პუნქტები, მე-8 მუხლის მე-20 პუნქტი და 39 მუხლის პირველი პუნქტი და მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტი;

¹⁷ აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2015 წლის 11 მარტის ინვენტარიზაციის შედარების აქტი N1;

¹⁸ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტები;

¹⁹ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტები;

²⁰ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები;

სხვა განსაკუთრებული გარემოებები

პირობითი მოსაზრების საფუძვლების პარაგრაფში წარმოდგენილი გარემოებების გარდა, გვსურს ყურადღება გავამახვილოთ შემდეგზე:

უძრავი ქონების განკარგვა

➤ სამინისტროსთვის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან სარგებლობის უფლებით გადმოცემულ შენობა-ნაგებობის ფართობსა და მიწის ნაკვეთებზე, ყოველგვარი სამართლებრივი (კანონიერი) საფუძვლის - სამინისტროს შესაბამისი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) გარეშე, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის დადგენილი წესის მოთხოვნათა შეუსაბამოდ,²¹ აუდიტის პერიოდში განთავსებული იყო და ფუნქციონირებდა სამინისტროს 100 %-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები (შპს). კერძოდ:

- დაბა წყნეთში არსებულ შენობა-ნაგებობასა და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთზე საერთო ფართობით - 599 კვ/მ, განთავსებული იყო და ფუნქციონირებდა შპს საოჯახო მედიცინის ცენტრი „ცხუმი“;
- ქ. წყალტუბოში 26 მაისის ქ. N17-ში მდებარე შენობა-ნაგებობასა და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთზე საერთო ფართობით - 1383,5 კვ/მ, განთავსებული იყო და ფუნქციონირებდა შპს „იგპ წყალტუბოს პოლიკლინიკა“;

• აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის მინისტრის ბრძანების²² შესაბამისად შპს „ავტოტრანსსერვის“ დაეკისრა ქ. თბილისის მეველის ქ. 17-ში მდებარე სამინისტროს სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების (2,369.00 კვ/მ მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობები N1,N2,N3) საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მოწყობა, მოვლა-შენახვა და კომუნალური გადასახადების გადახდა. როგორც გაირკვა, შპს „ავტოტრანსსერვისი“ ზემოაღნიშნულ ქონებას ყოველგვარი საფუძვლის გარეშე იყენებდა სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობისათვის. კერძოდ, სახელმწიფო შენობა-ნაგებობები იჯარით (ქირით) ჰქონდა გადაცემული სხვადასხვა იურიდიულ (ფიზიკურ) პირებზე და მოქმედი კანონმდებლობის²³ მიხედვით არ აწარმოებდა საბაზრო ღირებულების შესაბამისად სარგებლობაში გადაცემის საფასურის ბიუჯეტში გადახდას.

ამდენად, იმის გამო, რომ მოქმედი კანონმდებლობით²⁴ არ განხორციელებულა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლოდ ან სასყიდლით (ქირით, იჯარით) გადაცემა, ადგილი ჰქონდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების არამართებულად, არამიზნობრივად და არაეფექტიანად განკარგვას.

➤ სამინისტროს 2016 წელს ბალანსზე ერიცხებოდა 2014 წლის მაისში სარგებლობაში გადმოცემული მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროზე მდებარე მიწის ნაკვეთები სოფ. რუხში 321,76 ჰა (ს/კ N43.10.06.036) და სოფ. რიყეში 9,508 ჰა (ს/კ N43.09.03.240). აღნიშნული მიწების გადმოცემის მოთხოვნის²⁵ არგუმენტად მოყვანილი იყო აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დასაქმებისა და სოციალურ-ეკონომიკური პირობების

²¹ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები;

²² აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის მინისტრის 2012 წლის 06 მარტის ბრძანება N01/44;

²³ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის 1 და 1³ პუნქტი, 38-ე მუხლის მე-3 პუნქტი;

²⁴ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტი;

²⁵ აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2014 წლის 28 იანვრის N71 წერილი;

გაუმჯობესების მიზნით, აფხაზეთის ა/რ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ აფხაზეთის ა/რ მთავრობის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, შემუშავებული 7 ბიზნესპროექტი (რაც მოწონებული იქნა „გამყოფი ხაზის მდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებაზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის“ მიერ), კერძოდ:

1. ერთწლიანი კულტურების წარმოება;
2. მსხვილფეხა პირუტყვის მოშენება მერძეულ–მეხორცული მიმართულებით;
3. ქვა - ღორღის გადამამუშავებელი საამქროს მოწყობა;
4. სასოფლო - სამეურნეო ტექნიკის სერვისის მომსახურების ცენტრის შექმნა;
5. ახალი იაპონური ტექნოლოგიის დანერგვა გლეხურ მეურნეობაში და მრავალწლოვანი სასოფლო–სამეურნეო კულტურა რუმექსის კულტივირება საკარმიდამო ნაკვეთებზე;
6. იგზ - თა დასაქმების პროექტი მეფუტკრეობის დარგში;
7. გამყოფი ზოლის მცხოვრები მოსახლეობისათვის მცენარეთა დაცვისა და ვეტერინარიის დარგში დახმარების აღმოჩენა.

2016 წლის განმავლობაში, (სამინისტროს ინფორმაციით) ზემოაღნიშნული მიწებზე ფაქტობრივად არცერთი ბიზნესპროექტი არ განხორციელებულა. შესაბამისად იმის გამო, რომ სამინისტროს სარგებლობაში არსებული მიწები ფაქტობრივად დაუტვირთავი იყო და არ მომხდარა მათი დანიშნულებისამებრ გამოყენება, ადგილი ჰქონდა სახელმწიფო ქონების (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების) არაეფექტურად განკარგვას.

სამინისტროს მმართველობაში შემავალი სსიპ-ები

სამინისტრო სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს შემდეგ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე (სსიპ):

1. სსიპ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სტაჟირების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის - „ბიზნეს-ინკუბატორი“;
2. სსიპ „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი“;
3. სსიპ „აფხაზეთის გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სააგენტო“.

დადგინდა, რომ ზემოხსენებული სსიპ-ების მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად როგორც წინა წლებში, ისე გასულ წელსაც არ შემოწმებულა სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ²⁶.

ხელფასების დარიცხვის საფუძველი

მინისტრის ბრძანებების საფუძველზე 2016 წლის განმავლობაში 6 თანამშრომელზე „ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით“ გაცემული დანამატის ოდენობამ ჯამში შეადგინა - 3,025.00 ლარი. ვინაიდან ორგანიზაციის მიერ ნაწარმოებ „სამუშაო დროის გამოყენების და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელში“ არ ფიქსირდებოდა სამინისტროს

²⁶ საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები;

თანამშრომელთა მიერ ზეგანაკვეთურად მუშაობის ფაქტები, ხოლო „მომსახურეთა აღრიცხვის ჟურნალის“ მონაცემებში არ იყო მითითებული სამსახურში გამოცხადების და წასვლის დრო (საათი), შესაბამისად, აუდიტის ჯგუფს ვერ წარედგინა მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა თანამშრომლების მიერ ზეგანაკვეთურად მუშაობის ფაქტები.²⁷

ბუღალტრული პროგრამა და დოკუმენტაცია

სამინისტროს 2016 წლის მდგომარეობით ბალანსზე ერიცხებოდა ჯერ კიდევ 2014 წელს შესყიდული 7,956.00 ლარის საბალანსო ღირებულების ბუღალტრული პროგრამა. თუმცა, იმის გამო, რომ თავისდროულად არ მოხდა აღნიშნული ბუღალტრული პროგრამის განახლება, 2016 წელს მისი გამოყენებით არ განხორციელებულა წლიური ბუღალტრული გატარებების (წლიური ბრუნვების და ნაშთების) ასახვა. გარდა აღნიშნულისა, საბუღალტრო დოკუმენტაციის აღრიცხვის ორგანიზებასა და შენახვაზე არ იყო უზრუნველყოფილი სათანადო კონტროლი. კერძოდ, მემორიალური ორდერები, შესაბამის პირველად დოკუმენტებთან ერთად არ იყო აკინძული და გადანომრილი მოქმედი წესის შესაბამისად,²⁸ რაც ზრდის აღნიშნული დოკუმენტების სისრულის და დაცულობის რისკს.

საბიუჯეტო დეფიციტის მართვა

საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპების შესაბამისად „შრომის ანაზღაურების“ მუხლით 2016 წელს გაწეული ხარჯი თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის არ უნდა ყოფილიყო 2015 წლის საკასო ხარჯზე მეტი. თუმცა, იმ პირობებში, როდესაც ადგილი არ ჰქონია ორგანიზაციის ფუნქციებისა და კომპეტენციის არსებით ზრდას, სამინისტროს მიერ 2016 წელს შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურება გაიზარდა 6%-ით.²⁹ კერძოდ:

ხარჯები	2015წლის საკასო ხარჯი	2016წლის საკასო ხარჯი	სხვაობა (3-2)	%
1	2	3	4	5
შრომის ანაზღაურება	752,216.92	799,749.45	47,532.53	6%
<i>თანამდებობრივი სარგო</i>	626,706.92	636,828.45	10,121.53	2%
<i>პრემია</i>	119,810.00	159,896.00	40,086.00	33%
<i>დანამატი</i>	5,700.00	3,025.00	-2,675.00	-47%

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ მთავრობის განკარგულების უფლებელყოფასა და საბიუჯეტო სახსრების არაეფექტურ ხარჯვაზე.³⁰

²⁷ საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტი; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს "საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე N672 ბრძანების მე-4 თავის კლასიფიკატორის კოდი 21114 "დანამატები";

²⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერი №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-13 პუნქტი.

²⁹ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის N422 განკარგულება - „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ მე-2 და მე-3 პუნქტები, დანართის პირველი და მე-3 პუნქტები;

³⁰ საქართველოს კანონი - „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტი;

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

იმ პირობებში, როდესაც სამინისტროში შტატით მომუშავეთა რიცხოვნება ფაქტობრივად შეადგენდა 64 ერთეულს, 2016 წელს წლის გარკვეულ პერიოდში (4 თვემდე) ან მთელი წლის განმავლობაში (10-12 თვე), დასაქმებული იყო შტატგარეშე 12 მომუშავე (ანუ შტატით მომუშავეთა რაოდენობასთან მიმართებაში 18.75%) და მათზე ანაზღაურდა 70,495.10 ლარი, რაც სამინისტროში „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯების (162,863.00 ლარის) 43.28 %-ია, ხოლო შტატით მომუშავეთა „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯების (802,929.45 ლარის) 8.78 %. წარმოდგენილი ინფორმაციით, შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება განპირობებული იყო შესაბამისი დეპარტამენტების კონკრეტული აუცილებლობიდან გამომდინარე თუმცა, სამინისტროს აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად ზემდგომი ორგანოსათვის დამატებითი საშტატო ერთეულის გამოყოფის მოთხოვნით არ მიუმართავს.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად,³¹ შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად. კერძოდ, სამინისტროში 5 შტატგარეშე პირი (მძღოლის, დარაჯის და დამლაგებლების გარდა) აყვანილი იყო 2016 წლის მთელი პერიოდის განმავლობაში (10-12 თვე) და მათზე ანაზღაურდა - 39,811.20 ლარი (თვეში საშუალოდ 450-800 ლარი). ამასთან, შტატგარეშე მომუშავეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ანალიზით გაირკვა, რომ 3 მოსამსახურე (მათ შორის უმაღლესი განათლებით ლინგვისტი და ფიზიკოსი) წლის სხვადასხვა პერიოდში მონაცვლეობით ასრულებდა ისეთ დავალებებს, როგორიც იყო “შრომის სტატისტიკური გამოკვლევების დაგეგმვისა და ორგანიზების პროცესში კონსულტაციების გაწევა”, “სამინისტროს 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს-ებისათვის კონსულტაციების გაწევა საწესდებო კაპიტალითან და ქონებრივ საკითხებთან დაკავშირებით” და “საბიუჯეტო მაჩვენებლების პროგნოზული გაანგარიშებების განხორციელების პროცესში კონსულტაციების გაწევა”. მიღებული ინფორმაციით, შტატგარეშე მოსამსახურეებად პირების შერჩევა ხდებოდა შემოსული განცხადებების საფუძველზე სამინისტროს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით. გარდა აღნიშნულისა, 2016 წლის განმავლობაში მომუშავე 5 შტატგარეშე მოსამსახურე სამინისტროში მუშაობდა 2015 წელსაც (10-12 თვით) და ხუთივე ასრულებდა მათზე თავდაპირველად დაკისრებულ სამუშაოებს (მოვალეობებს). გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით შტატგარეშე მოსამსახურეებზე ვრცელდებოდა სამინისტროს შინაგანაწესით გათვალისწინებული ვალდებულებები, თუმცა 2016 წლის „მოსამსახურეთა სამსახურში გამოცხადებისა და სამუშაო ადგილის დატოვების ჟურნალში“ 5 შტატგარეშე მოსამსახურის (კომპ. ტექნიკისა და ქსელის სპეციალისტი, მძღოლი, დარაჯი, დამლაგებლები) აღრიცხვა არ მომხდარა. ასევე, 4 შტატგარეშე მოსამსახურეს მიერ 8 შემთხვევაში წარმოდგენილი ანგარიშები ან მოხსენებითი ბარათები მათზე დაკისრებული სამუშაოების შესრულების შესახებ, თუმცა აღნიშნული ანგარიშები ან სხვა სახის სამუშაოს

31 საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მე-8 მუხლი; 23-მე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი;

დამადასტურებელი დოკუმენტები ზოგადი ხასიათისაა, მათში არაა წარმოდგენილი კონკრეტიკა და არცერთი მათგანი დადგენილი წესით სამინისტროს დოკუმენტბრუნვაში 2016 წლის განმავლობაში არ დაფიქსირებულა (არ გატარებულა).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ფაქტობრივად უმეტეს შემთხვევაში ვერ დასტურდება (ვერ დგინდება) შტატგარეშე მომუშავეთა დასაქირავებლად გახარჯული სახსრების ეკონომიური, ეფექტიანი და პროდუქტიული მართვა.³²

შიდა აუდიტის გეგმის შესრულება

სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახურს (შემდეგში სამსახური) 2016 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით უნდა ჩატარებინა 2015 წლის აუდიტორული შემოწმება შემდეგ ობიექტებზე:

- შპს „ზაურ ხუბუტიას სახელობის საოჯახო მედიცინის ცენტრი – დიოსკურია“;
- შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი“;
- ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
- საბიუჯეტო დეპარტამენტი;
- საფინანსო-საბუღალტრო და მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველო.

მიღებული ინფორმაციით შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრში“³³ აუდიტი არ განხორციელებულა, თუმცა არაგეგმიური აუდიტი ჩატარდა შპს „საოჯახო მედიცინის ცენტრ ცხუმში“. ამასთან, შპს „ზაურ ხუბუტიას სახელობის საოჯახო მედიცინის ცენტრ - დიოსკურიას“, შპს „საოჯახო მედიცინის ცენტრ – ცხუმის“ და საფინანსო-საბუღალტრო აღრიცხვისა და მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოში ჩატარებული აუდიტის მასალებში სამუშაო დოკუმენტაცია (მტკიცებულებები, ახსნა-განმარტებები და სხვა) არ იყო წარმოდგენილი, ხოლო ადმინისტრაციული დეპარტამენტისა და საბიუჯეტო დეპარტამენტის შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი აუდიტორული მტკიცებულებები სრულად არ პასუხობს შიდა აუდიტის მეთოდოლოგიით დადგენილ მოთხოვნებს³⁴.

საყურადღებოა, რომ სამინისტროს კონტროლს ექვემდებარებოდა სხვადასხვა ორგანიზაციები, კერძოდ: სამინისტროს მიერ 100 %-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული 15 შპს, 3 სსიპ და საქვეუწყებო დაწესებულება - ინფრასტრუქტურისა და დარგობრივ საკითხთა დეპარტამენტი. თუმცა, 2014 – 2016 წლებში აუდიტი განხორციელდა 6 შემთხვევაში მხოლოდ 5 შპს-ში.

აღნიშნული გარემოებები მიუთითებს შიდა აუდიტის სამსახურის რესურსების არაეფექტიან და არაპროდუქტიულ გამოყენებაზე³⁵.

³² საქართველოს კანონი - „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტი;

³³ აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2015 წლის 25 დეკემბრის ბრძანება N01/55 „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახურის 2016-2018 წლების სტრატეგიულ და 2016 წლის წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ“;

³⁴ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 ივლისის განკარგულება N1014 „შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ 5 შიდა აუდიტის ფუნქციების მიმოხილვა, აუდიტის მტკიცებულებები“; საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 ივლისის განკარგულება N1015 „შიდა აუდიტის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ 27-ე და 28-ე მუხლები და 30-ე მუხლის პირველი პუნქტი;

³⁵ საქართველოს კანონი - „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტი;

წინა წლებში ჩატარებული აუდიტებით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მდგომარეობა

მიმდინარე აუდიტით კვლავ დაფიქსირდა ისეთი ნაკლოვანებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტებისას.³⁶ კერძოდ:

- წინა აუდიტით გამოვლენილი ნაკლოვანება - ქ. თბილისში, კალოუზნის ქ. N17 სამინისტროს სარგებლობაში არსებულ შენობაში შპს-ების უკანონოდ განთავსების საკითხი გამოსწორებულ იქნა მიმდინარე აუდიტის ფარგლებში. თუმცა, სხვა შემთხვევებში³⁷ სახელმწიფო ქონების უკანონოდ, სარგებლობის უფლებით გადაცემის დადგენილი წესის მოთხოვნათა შეუსაბამოდ გამოყენების ფაქტები, კვლავ დაფიქსირდა მიმდინარე აუდიტის ფარგლებში. ამასთან, მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროზე 7 ბიზნესპროექტის განხორციელების მიზნით გადმოცემული მიწის ნაკვეთების გამოყენებასთან დაკავშირებით გაწეული მუშაობა არასაკმარისი იყო, ვინაიდან აუდიტის პერიოდში არ იყო უზრუნველყოფილი აღნიშნული მიწების სრულად (დანიშნულებით) გამოყენება და არცერთი ბიზნესპროექტი არ განხორციელებულა;
- სამინისტროს მმართველობაში შემავალი სსიპ-ების მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად კვლავაც არ შემოწმებულა სახელმწიფო კონტროლის განხორციელებელი ორგანოს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ;
- სამინისტროს ბალანსზე კვლავ ირიცხებოდა ბუღალტრული პროგრამა, რომლის გამოყენებით წლიური ბუღალტრული გატარებების (წლიური ბრუნვების და ნაშთების) ასახვა არ განხორციელებულა;
- 2016 წლის მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კვლავ დასაქმებული იყვნენ შტატგარეშე მომუშავეები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა მიუხედავად რიგ შემთხვევაში ირიცხებოდნენ ფაქტობრივად მთელი წლის განმავლობაში.

სას-ის მიერ დაფიქსირებული ნაკლოვანებების მიუხედავად, მდგომარეობის გამოსწორების კუთხით მიმდინარე წელს, ისევე როგორც წინა წელს, ორგანიზაციის მიერ რაიმე სახის არსებითი ცვლილებები არ განხორციელებულა.

აუდიტის ჯგუფი:

უფროსი აუდიტორი

აუდიტორ - ასისტენტი

აუდიტორ - ასისტენტი

ბონდო გასვიანი

ეთერ კაცაძე

ნინო ბრეგვაძე

07 აპრილი 2017 წელი

³⁶ სას-ის 2016 წლის 05 აპრილის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2015 წლის ფინანსური აუდიტის დამტკიცებული ანგარიში N16/36; სას-ის 2015 წლის 01 ივნისის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2014 წლის ფინანსური აუდიტის დამტკიცებული ანგარიში N11/129;

³⁷ გვ. 7-8;

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფორმა №1

ბალანსი

ორგანიზაციის დასახელება

აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

ჩაბარების ვადა

ჩააბარა

(ხელმოწერა)

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

ზომის ერთეული: ლარი

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
I.ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული საღარიბოში ეროვნულ ვალუტაში	1110		
020	ნაღდი ფული საღარიბოში უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1211		
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1212		
050	სხვა ანგარიშები ბანკში	1220		
060	მიმდინარე ანგარიში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის ხაზინაში	1230		
070	ანგარიში მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსებისათვის	1240		
080	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		
090	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
100	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
110	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280		
120	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290		
130	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		
140	მოკლევადიანი სესხები	1320		
150	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
160	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
170	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
180	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
190	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
200	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354		
210	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	1355		
220	გადახდილი დღგ	1356		
230	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		
240	სხვა საგადასახადო აქტივი	1358		
250	მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების დანაკლისებით	1359		
260	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		
270	მოთხოვნები ბარტერით	1410		
280	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		
290	მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431		
300	მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432		
310	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440	1643672,92	1643672,92
320	ანგარიშგაღებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450		
330	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460		
340	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470		
350	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480		
360	გრძელვადიანი სესხები	1510		

370	აქციები და სხვა კაპიტალი	1520		
380	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1530		
390	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1540		
II. არაფინანსური აქტივები				
400	სტრატეგიული მარაგები	1610		
